არ იღაპარაკო

ბეკა ფიცპატრიკი

2016-05-18



ბეკა ფიცპატრიკი

ინგლისურიდან თარგმნა ირაკლი სუდაძემ

რედაქტორი ლადო იოსებაძე

კორექტორები: ნატალია ჩიმაკაძე, მარეხ ღარიბაშვილი
პროექტის მენეჯერი თინათინ ფეიქრიშვილი
დიზაინერი გიორგი ლეჟავა
ტექნიკური რედაქტორი ლევან კოღუაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა დათო მოსიაშვილი

Originally published as Hush, Hush by Becca Fitzpatrick
Text copyright © 2009 Fitzpatrick LLC.
All rights reserved

© გამომცემლობა პალიტრა L, 2016
ყველა უფლება დაცულია

რას ფიქრობს Liberteens ამ წიგნზე?

Liberteens თინეიჯერების ჯგუფია, რომელიც კითხულობს და არჩევს მათ თაობაში თანამედროვე, პოპულარულ უცხოურ ლიტერატურას, რომელსაც შემდგომ გამომცემლობა პალიტრა L ქართულ ენაზე გამოსცემს.

ბეკა ფიცპატრიკის «არ იდაპარაკო» სწორედ მათი არჩეული წიგნია.

„არ იდაპარაკო“, პარანორმალური, გოთიკური სასიყვარულო ისტორიაა, რომლის მთავარ გმირს, ნორას, მოულოდნელად უცნაური მოვლენები ატყდება თავს. მის ცხოვრებაში მომხიბვლელი პაჩი გამოჩნდება, რომლის მიმართ გაორებული გრძნობა არა მარტო მთავარ გმირს, არამედ თვითონ მკითხველსაც უჩნდება. არაჩვეულებრივი იუმორი და ჩახლართული სიუჟეტი არც ერთ თინეიჯერს არ დატოვებს გულგრილს.

ნანუკა, 17 წლის

ბეკა ფიცპატრიკის „არ იდაპარაკო“, ამ ჟანრის ძალიან საინტერესო და ნამდვილად გამორჩეული წიგნია – იდუმალი, საინტერესო და ჩამთრევი. მწერალი ლამაზად აღწერს მოვლენებს, რომლებიც მაშინვე თვალწინ გადაგეშლებათ.

გიო, 16 წლის

ბეკა ფიცპატრიკი თავის წიგნში „არ იდაპარაკო“ სრულიად ახალი კუთხით დაანახვებს მკითხველს ზებუნებრივ სამყაროს. იგი ორივე სამყაროს თანაბარი დამაჯერებლობით აღწერს. დარწმუნებული ვარ, ეს წიგნი ნებისმიერი ტიპის მკითხველს დააინტერესებს, რადგან მასში მართლაც საოცარი ამბავია აღწერილი.

თაკო, 17 წლის

წიგნი ახალგაზრდა ნორა გრეის შესახებ მოგვითხრობს, რომელმაც ახალი თანაკლასელი შემთხვევით გაიცნო ბიოლოგიის გაკვეთილზე და ძალიან შეუყვარდა იგი. თუმცა, მან არ იცის, რომ ამ ყველაფრით თავს საფრთხეში იგდებს, რადგან სინამდვილეში პაჩი დაცემული ანგელოზია და ბევრ საიდუმლოს მალავს, მათ შორის, ბნელ კავშირს ნორასთან.

ნოდო, 16 წლის

ბეკა ფიცპატრიკის „არ იდაპარაკო“ – მსოფლიო გამოხმაურება

„არ იდაპარაკოს“ რომ ვკითხულობდი, ვერასოდეს ვხვდებოდი, რა მიმართულებით განვითარდებოდა სიუჟეტი, იმდენად უცნაური და ბურუსით მოცულია ყველაფერი, რაც წიგნში ხდება. ისიც უნდა ვაღიარო, სკოლაში სწავლის პერიოდში თანაკლასელი ბიჭები ასეთი სახიფათო და საინტერესონი რომ ყოფილიყვნენ, აღბათ სკოლის დამთავრება არასდროს მენდომებოდა! ვგრძნობ, რომ ამ მწერლისგან კიდევ მეტ სულისშემკვრელ ამბებს უნდა ველოდოთ დაცემულ ანგელოზებზე“.

სანდრა ბრაუნი, მწერალი

„გულში ჩამწვდომი და ამაღელვებელი... ფიცპატრიკი თანდათანობით ზრდის წიგნში დაძაბულობას... ნორას ურთიერთობა პაჩთან, ჭეშმარიტად გულწრფელი, მოულოდნელი და მაცდურიც კია. ეს წიგნი აუცილებლად მოხიბლავს პარანორმალური რომანების მოყვარულებს“.

Publishers Weekly

„საშინელებათა ჟანრისა და რომანის მოყვარულებს, რომლებიც დაიღალნენ „მეზობლად მცხოვრები“ მაქციებისა და ვამპირების ისტორიებით, ეს წიგნი წყვდიადის სიღრმეებისკენ გაუძღვება“.

Booklist

„ეს წიგნი ყველა თინეიჯერის გულს დაიპყრობს, რომლებსაც არც კეთილი და არც ავი სულების ეშინიათ¡‘

New York Times

„დიდებული დებიუტი“

Kirkus Reviews

გაყიდულია 10 მილიონზე მეტი ეგზემპლარი!
თარგმნილია 38 ენაზე!

* * *

ეძღვნება ჰეზერს, კრისტიანსა და მაიკლს –
ჩვენი ბავშვობა არაფერი იქნებოდა წარმოსახვის გარეშე!

აგრეთვე ჯასტინს –
ჯასტინ, გმადლობ, რომ იაპონური სამზარეულოს კურსები არ აირჩიე – მიყვარხარ!

* * *

„როდესაც ურჩი ანგელოზები ზეცაში დაბრუნდნენ,
თავიანთი მმართველის – სატანის მსგავსად,
ღმერთმა ისინი აღარ მიიღო ზეციურ ოჯახში...“

2 პეტრე 2:4

პროლოგი

ლუარის ველი, საფრანგეთი.
1565 წლის ნოემბერი

ჩონსი ფერმერის გოგოსთან ერთად იდგა ლუარის ბაღახოვან სანაპიროზე, როდესაც ქარიშხალი ამოვარდა და რადგანაც ტაიჭი მდელოზე სასეირნოდ გაეშვა, ახლა იძულებული იყო, სასახლეში ფეხით დაბრუნებულიყო. ჩექმა გაიხადა, ვერცხლის ბალთა შემოაძრო და გოგონას ხელისგულზე დაუდო. შემდეგ დააკვირდა, როგორ გარბოდა მინდორში გოგო დასვრილი ქვედაბოლოს ფართხუნით. ჩონსიმ ჩექმა ამოიცვა და შინისკენ გასწია.

წვიმა ლანჟის სასახლის შავით მოცულ არემარეს ასველებდა. ჩონსი მოხერხებულად მიაბიჯებდა სასაფლაოს ატაღახებულ მიწასა და აკლდამის ქვებზე. ეს ადგილები ხუთი თითივით იცოდა და ყველაზე ნისლიან ამინდშიც თავისუფლად შეეძლო გზის გაგნება. თუმცა, ამ ღამით ნისლის ნაცვლად წვიმა და ჩამოწოლილი უკუნი უშლიდა ხელს.

უეცრად ჩონსიმ მისგან მარცხნივ მოძრაობა შენიშნა. ის, რაც მას თავდაპირველად ანგელოზის დიდი მონუმენტი ეგონა, ფეხზე წამოდგა და გაიმართა. პატარა ბიჭი იყო, — არც ქვისა და არც მარმარილოსი, ჩვეულებრივი ხელ-ფეხი ჰქონდა, მხოლოდ გლეხური შარვალი ამშვენებდა, არც პერანგი ეცვა და არც — ფეხსაცმელი. ბიჭმა მონუმენტიდან ისკუპა და თმის ბოლოებიდან წვიმის წვეთები ჩამოსცვივდა. ესპანელს მიუგავდა სახე.

ჩონსი ხმლის ვადას სწვდა და შესძახა: — მანდ ვინ არის?

ბიჭს სახეზე ღიმილი დაეტყო.

— ლანჟის ჰერცოგს ნუ ეხუმრები, — გააფრთხილა ჩონსიმ. — შენი სახელი ვიკითხე, მიპასუხე!

— ჰერცოგი?! — ბიჭი დახლართული ტირიფისკენ დაიხარა. — იქნებ ნაბიჭვარი?

ჩონსიმ ხმალი ქარქაშიდან ამოსაღებად გაამზადა. — უკან წაიღე შენი სიტყვები! მამაჩემი დე ლანჟის ჰერცოგი იყო, ახლა კი მე ვარ ჰერცოგი, — თითქოს გაუბედავად დაამატა ჩონსიმ და ამ გაუბედაობის გამო გულში საკუთარი თავი დაწყევლა.

— მამაშენი ჰერცოგი არ ყოფილა, — ზანტად წარმოთქვა ბიჭმა.

გაუგონარმა შეურაცხყოფამ ჩონსი ერთიანად ააფეთქა. — თავად ვისი შვილი ხარ? — ჰკითხა და ხმალი იშიშვლა.

ყველა ქვეშევრდომს ჯერ არ იცნობდა, თუმცა ეს მხოლოდ დროის საკითხი იყო. მზად იყო, ბიჭის სახელი სამარადჟამოდ დაეხსომებინა.

— ბოლოჯერ გეკითხები, — წარმოთქვა დაბალი ხმით და სახიდან წვიმის წყალი ჩამოიწმინდა. — ვინ ხარ?

ბიჭმა მისკენ ნაბიჯი გადმოდგა და ხმლის ბასრი პირი გვერდზე გასწია. უცნაურია, მაგრამ ახლოდან უფრო ზრდასრული აღმოჩნდა, შეიძლება ჩონსიზე ერთი-ორი წლით უფროსი ყოფილიყო.